

კურან და ტერი

ცურაბ გაბაშვილი დამატება

გაზეთის № 37.

გვირა, 20 ივნისი 1910 წ.

დამატების № 6

კორი ცემის ნინოს დედათა მონასტერი

(დასახული *)

ამ უფროველეს ქართველთა განმანათლებელის სათა-
ყანო საფლავთან გასხნილ — იქმნა 22 ოქტომბერს 1889
წელს ქალთა სკოლა.

პირველ ხანებში სკოლა მა-
თავსებულ იქმნა ვიწროსა და
წინამძღვრის ბნელ საუკონე-
ოთახებში; მაგრამ იღუმენია
იუვენალიის მეცადინებით მა-
ლე აშენდა სამ სართულიან
სახლი. სკოლაში იღებენ უცვ-
ლას, განურჩევლად ეროვნები-
სა. ამერამად სწავლობენ: ქარ-
თველები, რუსები, ბერძნები,
ასორები და სხვანი. პირვე-
ლად სკოლის გეგმა და კურსი
განსაზღვრული იყო, შემ-
დეგ იგი ორკლასიან სამრეც-
ლო სკოლად გადაკეთდა საპე-
დაგოგიო განყოფილებით.

ძველი ტაძარი უკვე ვეღა-
ოტევდა ქმოწაფებს, მონა-
ზებსა და მლოცველებს. 1901
წელს იღუმენია იუვენალიამ
ააშენა ახლო ეკკლესია — სწო-
რედ იმ ადგილზე, სადაც წი-
ნად იმყოფებოდა სამიტროპო-
ტოორ ქარის მინინების პატარა
ეკკლესია. ეს ეკკლესიაც და-
ცულია, მაგრამ ახლო ეკკლ-
ესია აგებულია წმ. ნაკოლოზის
ახელზე.

სწავლა განათლების საკი-
როება დღითი-დღე მატულობ-
და და სიზოგადოების სკოლი—
სახარაველოს მეცნ ვახტანგ მამაშვილი, ქართული სტამბის დამარ-
სადმი თანავრჩნობა და სიმპა-

პატიაც იზრდებოდა, რის გამოც სკოლის შენობა უკვე
მოუხერხებელი, და პატარა იყო. ამისთვის ახლომა იღუმე-

ნიამ იუვენალია მეორემ (თამარ მარჯანიშვილი, თელავის
მაზრიდამ.) იღძრა შუამდგომლობა და მიიღო სასულიერო
უწყებიდან 2500 მან. ამ თანხით იღუმენიამ ააგო მეორე
სამ სართულიანი შენობა. სკოლაში უმთავრესად ადგილობ-
რივ მცხოვრებთა შეიღები იზრდებოდენ. ორკლასიან სკო-
ლაში ძნელი იყო სწავლა, რუსულ ენის შესწავლა უძნელ-
დებოდათ ამიტომ იღუმენია იუვენალიამ მეორემ გამოითხო-
ვა 500 მანეთი დამატებით კლასის გასახსნელიდა.



სკოლის დანიშნულება გარ-
და საზოგადო და სარწმუ-
ნოებრივ ცოდნის შეძენისა,
ხელსაქმისა, ხატვა-ხაზისა, მუ-
სიკისა და სხვათა სწავლება.
მცხოვრებლები ყმაყოფილნი
ირიან ამ სკოლით და მიტო-
ზა, რომ აქ ერთნაირიდ მიჰ-
ყევთ შეიღები როგორც თა-
ვადებს, სამღედლოების, ისე
გლეხებს.

1907 წლიდამ იღუმენიად
დანიშნა ნინო, ქ. ნადეჟდა
მიხელის ასული ათანასიევისა
უმაღლეს სწავლა განათ-
ლებით. ახალი ღიუმენია შესა-
ფერ მხედრას იჩენს სკოლის
უკეთესად მოწყობის საქმეში,
იგი დახელოვნებული პედ-
გოგია. ამისი დაუღილების
ზრუნვით სკოლა თან და თან
უკეთ მიდის. მუექნივრადა და-
ყენებული მოღილეობით გუნ-
დი ეტყობა მოძღვარ — მას-
წევლებელნი: ქ. ჩუტეკერაშვი-
ლი, ნაცელიშვილი და შინშია-
შვილი მხედრ მუშაობენ მოწა-
ფეთა გონებისა და სულიერ ძირ-
თა გასავითარებლად. აღსანიშ-
ნავია, რომ 1908 წლამდე ქ. ჩ-
რული ენა მიტოვებული იყო
და არავითარი ყურადღება ირ-
ჟიონდა მიქცეული. ამ წლი-
დან კი იღუმენიამ მოწვია ქართული ენის მასწავლებე-
ლი. დღეს მოწაფენ სწავლობენ ქართულს. რუსის ბავშვე-
ბიც კი სწავლობენ ქართულ წერა-კითხვასა და ლაპარაკს.

გარდა ამისა მოწაფე ქილნი ვარჯიშობენ ბაღში, მოჭყაფ ბოსტნეულობა, სწავლობენ მეფუტკრეობას, ხალიჩაფარდაგების ქსოვის და მეაბრაშუმეობას. დაურგავთ რამდენიმე ათასი ძირი თუთის ხე. წასულ წელს ბოდის მონასტრიდან ტფილისის სააბრეშუმო სადგურში გაეგზავნა მონოზნები მეაბრაშუმეობის შესასწავლად. სკოლაში კურს დამთავრებულნი რამდენსამე ხან სკოლაშივე რჩებიან პრაქტიკულად მეაბრაშუმეობის შესასწავლად. მომავალ წლიდან განხრახული აქვთ მოაწყონ აქ სპეციალურად აბრეშუმის ჭიის მოვლა. ადგილობრივ მცხოვრებთიც შეუძლიანათ შევიდნენ და ისწავლონ.



ძართველების მილიციონერების დაკავილების მიჯნაზე სლარაჯობა. სურ. თ. ჰილელტისა.

(ივ. ცისკარაშვილის კოლექციიდან).

წირვა-ლოცვა ბრეულია-ხან ქართულ და ხან რუსულ ენაზე. ბედნიერ დღეებში წირვა ლოცვის დროს გალობს მონოზანთა გუნდი. მაგრამ ასებობს მოწაფეთა გუნდიც, რომელიც მშვენივრად გალობს საეკლესიო საგალობლებს. გალობასა და მუსიკს ასწავლის მთავარ-დიაკვანი კ. ჩუტკერაშვილი. 1897 წლიდან, ანუ რაც ეს სკოლა ორ კლასიანად გადაკეთდა, კურსი გაათავა პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებლის ხარისხით 175 მოწაფემ. ამათგან ქართველი იყო 125, რუსი 33, უდინი 7, ოსი 5, აისორი 2 და ბერძენი 3, აქედან: სასულიერო წოდებისა 59, გლეხთა-გან 55, აზნაურთა 42 და მოქალაქენი 19.

ამ უამათ სკოლაში სწავლობს 129 მოწაფე: ქართველი 88, რუსი 27, ბერძენი 6, ოსი 4, უდინი 3, აისორი 1. ამათგან მონასტრის ხარჯზე იზდებიან 71, თავის ხარჯზე 43 და კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმადგენელ ხაზოგადოების ხარჯით 15, ასე რომ 86 იზდება არა თავის ხარჯზე და აქედან 15 რუსი და 71 იდგილობრივი მცვიდრთა შვილები. უკანასკნელი შეადგენენ: გლეხთაგანი 38, აზნაური 17 და სასულიერო წოდებისა 16.

გარედან მოსიარულ მოწაფენი არ არიან, კველინი პანსიონში სცხოვრობენ. ვინც თავის ხარჯზე იზრდება, წლიურად იხდის 100 და 140 მანება. სულ შვიდი მოწაფე, რომელიც წლიურად 140 მან. იხდის.

ზემოთ აღნიშნულ დვდელების მთავარ დიაკვნის გარდა სასწავლებელში ასწავლის 9 მასწავლებელი, ამათგან 6 ქართველია და 3 რუსი.

ამის გარდა მონასტრი ინახამს ერთ კლასიანს საეკლესიო—სამრევლო სკოლას, რომელიც იმყოფება გალივან გარეთ, სამონასტრო შენობაში. ამ სკოლაში სწავლობენ ახლო მახლო მდებარე სოფლის შეილები. სკოლაში სწავლება უფასოა. დანიშნულია ორი მასწავლებელი, რომელიც მუდმივ ასწავლის. ეს სკოლა სამეცადინოა-სამონასტრო სკოლის მაღალ კლასების მოწაფენი აქ ვარჯიშობენ, გაკვეთი-

ლები აქ იძლევენ. საზოგადო სწავლება ამ სკოლაში ქართულ ენაზე სწარმოებს და რუსულ ენას ასწევლიან როგორც საგანის.

მონასტრები მონოზნები და მორჩილი რიცხვით 190. ამათგან მარტო ხუთია ქართველი ხოლო დანარჩენები ყველა რუსებია. ამ რიცხვიდან 160 იმყოფება ბოდეში, ხოლო 30 ტფილისში, მონასტრის სასეფისკვრო განყოფილებაში.

მონოზნები და მორჩილი დაირებიან მოელს რუსეთში შემოწირულებათა შესაკრებათ, მაგრამ ამას გარდა მუშაობენ მონასტრის ზვარში, ბოსტნებში, ემსახურებიან მონასტრებს და ამაზედვაა დაგალებული სკოლის სამსახური: აქ ესენი საჭმელს ამზადებენ, აცხობენ, რეცხავენ, ალაგებენ, ჰერიავენ, სწამლობენ, ემსახურებიან მასწავლებლებს და სხვა.

ალ. ჯორჯაძე.



ერთგული მეგობარი

ისკარ უალდისა.

ერთს მშვენიერ დილას წყლის ვეებერთელა ვირთაგვამ სორიდგან თავი გამოჰყო და მიმოიხედა. იმასა ჰქონდა შუშის მაგვარი რგვალი თვალები და გაფიჩებული ცისფერი ულვაშები, ხოლო გძელი კუდი კაკს ინდოეთის შავს რეზინს მოაგონებდა. იხვის პატარა, ყვითელი ჭუჭულები იქვე შორიახლო ტბორეში ცურავლნენ და თეთრი დედა-იხვი, ღია-წითელი ფეხებით, ცდილობდა ესწავლებინა მათვის წყალში ყირამალა დგომა.

— საუკეთესო საზოგადოებაში თქვენ არასოდეს არ მიგიღებენ, თუ ყირამალა დგომას არ ისწავლით, — იმეორებდა ის და დრო გამოშვებით მაგალითს უჩვენებდა. მაგრამ ჭუჭულები ცურადლებას არ აქცივდნენ. ისინი ჯერ ისე ახალგაზრდანი იყვნენ, რომ სრულებით არ ესმოდათ, რას ნიშნავს საუკეთესო საზოგადოება.

— რა გაუგონარი ბავშვებია, — შეჰყვირა წყლის გრძაგვამ, — ღირსია მაგათი დახრჩობა.

— სრულებითაც არა, — უპასუხა იხვმა, — ყოველი საქმის დასაწყისი ძნელია, და მშობლებმა უნდა მოთმინება იქონიონ.

— თქ, მე არა მესმის რა მაგ მშობლიური გრძნობებისა, — სთქვა წყლის ვირთაგვამ. — მე ოჯახი არა მაქს; გათხოვილიც კი არა ვყოფილვარ; და არც ვფიქრობ გათხოვებას. რასაცირველია სიყვარულს თავისი კარგი მხარეები აქცს, მაგრამ მეგობრობა გაცილებით მაღლა სდგას. უანგარო მეგობრობაზედ კარგი და ამაღლებული გრძნობა არაფერია.

— შეიძლება ამისნათ, თუ რაში მდგომარეობს თქვენის აზრით ერთგული მეგობრის მოვალეობა? — ჰქითხა მწვანე ჭვინტამ, რომელიც იქვე ახლო ნერგის ტოტზე იჯდა და იმათ ლაპარაკს ყურს უგდებდა.

— დიაღ, მეც მინდოდა მაგის გაგება, — სთქვა იხვმა და გადავიდა რა ტბორეს მხარეს; წყალში ყირამალა დადგა, რომ თავისი ბავშვებისთვის ერთხელ კიდევ ეწვენებინა კარგი მაგალითი.

— რა სულელური კითხვა! — შეჰყვირა ვირთაგვამ, — რასაცირველია ერთგული მეგობრისგან იმას ველი, რომ ის ჩემი ერთგული იყოს!

— თქვენ როგორდა უნდა მოჰქცეოდით? — ხელ-მეორედ შეეკითხი მას ჭვინტა, თან ნერგის ტოტზედ ქანა-ობა დაიწყო და თავისს პატარა ფრთხებს ერთმანეთსა სცემდა.

— მე თქვენი კითხვა არ მესმის, — უპასუხა ვირ-თავამ.

— ნება მომეცით ამის შესახებ ერთი ისტორია გიამ-ბოთ, — უთხრა ჩიტბა.

— ჩემზედ ხომ არა? — ჰკითხა ვირთაგვამ, — მაშინ მე ყურს დაგიგდებთ. მე ძალიან მიყვარს რომელიმე ისტო-რიის გმირად ყოფნა.

— შეიძლება თქვენც შეგეხებოდეთ, — უპასუხა ჭვინტამ, ჩამოფრინდა ძირს, დაჯდა სკამერკაზედ და დაიწყო ერთგული მეგობრის ამბავი:

— ერთხელ, — ასე დაიწყო ჭვინტამ, — სცხოვრებ-და ერთი პატარა, პატიოსანი ყმაშვილი. სახელად განს ერქვა.

— ძალიან შესანიშნავი იყო? — ჰკითხა ვირთაგვამ.

— არა, — უპასუხა ჭვინტამ, — სრულებით ჩვეულებ-რივი ბავშვი იყო და სხვებიდგან არაფრით ირჩეოდა, იმას გარდა, რომ ძალიან კეთილი გული და სასაცილო, რგვალი და სათნოიანი სახე ჰქონდი. სცხოვრებდა პატარა ქოში; სრულიად მარტო და ყოველ დღე თავის ბაღიში მუჟაოთად მუშაობდა. მთელს იმ ახალო-მახლიო იმის ბაღზედ კარგი ბაღი არსად იყო. იქ იდგა მიხაეკი და ყარამფილი, ბიბილო-ბალახი და ფრანგული ბელდეული. იყო მშვენიერი ვარდე-ბი, წილები და ყვითლები, ლილისფერი სოსანი და ცის-ფერი ია, ზამბახი და ზავ-ბალახი, ალერდი და ცოცხლანა, პირველ ყვავილა და იაკოსტა, ნარგიზი და ვარდისფერი მიხაეკი მრავლად ყვავოდნენ მთელი თვეების განმავლობაში; ერთი ყვავილი სკელიდა მეორეს, ახარებდა თვალსა და მთელს ბაღს სასიმოვნო, ნაზი სურნელებით ავსებდა.

პატარა განსს მეგობარი ჰყანადა, მაგრამ ყველაზედ ერთგული კი მეწისქვილე გუგო იყო. და მარტლაც, მდი-დარი მეწისქვილე იმდენად ერთგული იყო პატარა განსისა, რომ არასოდეს არ დაივიწყებდა, იმისი ბაღის ახლო გავლის დროს ლობეზედ არ გადასწოროდა და ყვავილების თა-გული ან სურნელოვან ბალახების ბლუჯა არ დაეგლიჯა და არ წაელო თანა; ხოლო თუ ხილი შემოსული იყო, ბლითა და ქლიავით არ აეცხო ჯიბები.


— ნამდვილი მეგობრები უნდა ყველაფერს შუაზედ იყოფდნენ, — ამბობდა მეწისქვილე, და პატარა განსიც თავს უქნევდა, ილიმებოდა და ამაყობდა, რომ ასეთი კე-თილ-შობილური შეხედულობის მეგობარი ჰყავდა.

მეზობლებს უკირდათ, რომ მდიდარი მეწისქვილე არაფრით არ უხუიდა განსსა, თუმცა ფქვილის სავსე ტომ-ჩები ასობით ეწყო წისქვილში, ხოლო მინდორში აძიოვებდა ექვსს მწვეველე ძროხას და მშვენიერ მატყლიანს ცხვრის დიდ ფარასა, მაგრამ განსი ამაზედ არასოდეს არ დაფიქრებულა და ყოველთვის უდიდესს სიამოვნებასა გრძნობდა, როცა მეწისქვილის ენა-წყლიან საუბარს უანგარო და ერთ-გულ მეგობრობაზედ ყურს უგდებდა.

ას მუშაობდა პატარა განსი თავისს ბაღში. გაზაფხულ-ზედ, ზაფხულობით და შემოდგომით ის სრულიად ბელნიე-რი იყო; მაგრამ როცა კი ზამთარი დადგებოდა და იმას არც ყვავილები და არც ხილი აღარა ჰქონდა, რომ გასასყიდად გაეტანა, მაშინ კი საქართვისად იტანჯებოდა სიცივითა და სიმშილით, და ხშირადა წვებოდა მხოლოდ რამდენიმე მსხვის ჩირით ან ძველი კალით ნავახშევი. ზამთრობით ის მარტობასაცა გრძნობდა, რაღვან მეწისქვილე იმის სა-ხახვად აღარ მიღიოდა.

— სრულებით არაფერი მიზეზი არა მაქს პატარა განსთან წავიდე, სანამ თოვლით დაფარულია მიწა, — ეუბ-ნებოდა მეწისქვილე თავისს ცოლს. — როცა ადამიანი და-კირვებას იამენს, უნდა მარტო დავტოვოთ და ჩვენი მის-ვლით არ უნდა შეგეწუხოთ. ჩემი შეხედულება მეგობრო-ბაზედ ამგვარია და ეკვიც კი არ შემაქვს მისს სიმართლეში, დავუცდი გაზაფხულის მოსვლას და მაშინ ვესტურები განს-სა. მაშინ იჩას შეეძლება პირველყვავილას ერთი კალათი მითავაზოს, რაც ბავშვს ძალიან გაახარებს.

— შენ სულ სხვებისთვის ზრუნავ, — უპასუხებდა ცოლი, რომელიც სასიმოვნოდ მოგურგურე ბუბრის წინ დიდს სავარექლში ჩამჯდარიყო; — სწორედ ბევრსა ზრუ-ნავ. შენი მეგობრობის შესახებ საუბრის ყურის გდება ჰეშ-მარიტი სიტკბოება! ლარწმუნებული ვარ, მღვდელოც კი ვერ ილაპარაკებდა აგრე კარგად, იმის და მიუხედავად, რომ ის სამსართულიან სახლში ცცხოვრობს და ნეკულ ოქროს ბეჭედს ატარებს.



მაოძრავი სამუშაოი საოლოები ამორიკაში.

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები დიდ უურადებებს აქცე-ვენ სამეურნეო ცოდნის გავრცელებას. დიდალ ფულსა ხარჯავენ სა-მეურნეოს სკოლების დასაარსებლად და გაუმჯობესებულ იარაღების გასავრცელებლად. მაგრამ ყველას მაინც არ შეუძლიან ისარგებლოს იმ სკოლებით, რომლებიც უზარესად შედარებით ცენტრალურ აღგი-ლებში იმართება. დიდალი წვრილი მეურნენი ვერ ისმენენ იმ ლექ-ციებს, რომლებსაც სპეციალისტები სამეთრნეო ინსტიტუტებში კით-ხულობენ სამიწად-მოქმედო სამინისტროში შემოიღო სკოლე-ბი. ვაგონებშია გამართული სკოლა — ჩინის გზის ლისნდაგზე ვაგონი ნელა მიდი მოდის, აგროვებს წვრილ მეურნეებს. მოგზაურობის დროს ვაგონში უკითხავენ ლექციებს. ამ სურათზედაც ნაჩვენებია ასეთი ვაგონი, სადაც ლექციას კითხულობენ მერქევეობის შესახებ.

— არ იქნება პატარა განსს აქ დაუძახოთ? — იკითხა მეწისქვილის პატარა ვაჟმა. — თუ პატარა განსი გლახადა სცხოვრობს. ჩემი წვნის ნახევარს მივცემ და ჩემს თეთრს ბაჭიებსაც ვაჩვენებ იმასა.

— სულელო ბავშვო! — შეჰყვირა მეწისქვილემ. — მე არ მესმის რა სარგებლობაა შენი სკოლაში სიარული; გერეულია, შენ იქ ვერაფერს ისწავლი! პატარა განსი როცა აქ მოვიდეს და ჩვენი ანთებული ბუხარი, კარგი ვახშამი და

წითელი ღვინით სავსე დიდი ბოჩქები დაინახოს, ხომ მასში შურმა გაიღვია. შური კი საშინელი გრძნობაა და ყოველ-გვარი გულის გაფუჭება შეუძლია. მე კი, რასაკვირველია, ნებას არ მივცემ, რომ განსის გული ვინმებ გააფუჭოს. მე მისი საუკეთესო მეგობარი ვარ და ყოველთვის თვალ-ყურს ვაღევნებ და დავიცავ ყოველ გვარი საკოტურიდგან. იმას გარდა განსი რომ აქ მოვიდეს, შეიძლება ფქვილი მთხოვოს ნისიდა, ამაზედ დათანხმება კი მე არა გზით არ შემიძლიან. ფქვილი სხვა და მეგობრობა სხვა და ამ ორი საგნის არევა ერთმანეთში შეუძლებელია. ეს სიტყვები სხვა და სხვა ნაირადაც აწერებიან და სხვა და სხვა აზრიცა აქვთ — მგრანი ეს ყველასთვის ცხადია!

— რა მშენივრადა ლაპარაკობ, — შენიშნა მეწის-ქვილეს ცოლმა, მოიყუდა ღვინით სავსე ჭიქა და თვალის დახამხამებაზედ გამოსცალა, — მე თითქმის ძილიც კი მომერია: სრულიად ისე, როგორც ეკლესიაში!

— ბერნი კარგად იქცევიან, — უპასუხა მეწისქვილემ, — მაგრამ კარგად კი ძალიან ცოტანი ლაპარაკობენ; ეს იმასა ნიშნავს, რომ ლაპარაკი საქმეზედ ძნელია და, რასაკვირველია, ძვირფასიც, — და იმან სასტიკად შეხედა თავისს პატარა შვილს, რომელმაც თავისი თავი სრულიად შერცხვენილად იგრძნო, ჩაჰკიდა თავი და რამდენიმე ცრემლი ჩაგდო თავისს ჩაიში: — მაგრამ თუ გაიხსნებთ, რამდენად პატარა იყო, თქვენ უთუოდ აბატიებთ მასა...

— განა ამბავი ამით თავდება? — ჰყითხა წყლის ვირთაგვამ.

— რასაკვირველია, არა, — უპასუხა ჭვინტამ; — ეს მხოლოდ დასაწყისია.

— მაშ თქვენ ჩვენს საუკუნეს სრულებით ჩამორჩენილხართ, — განუცხადა ვირთაგვამ, — ყოველი კარგი მოამბე ეხლა ბოლოდგან იწყობს, თავზედ გადადის და შუანაწილით ათავებს. ეს ახალი მეტოდია, რაც გავიგე ერთი კრიტიკოსისაგან, რომელიც ამას წინად აქ ახლო სეირნობდა ვიღაც ყმაწვილ კაცოან და ძალიან ბევრს ლაპარაკობდა ამ საგნის შესახებ. ის მართალი უნდა იყვეს ჯერ მარტო იმიტომ, რომ ცისფერი სათვალეები და მოტიტელებული თავი ჰქონდა, და ყმაწვილი კაცის ყოველს შეკითხვაზედ ცხვირაშეკით უპასუხებდა ხოლმე: „სისულელეა“! მაგრამ თუ შეიძლება, განაგრძეთ თქვენი ამბავი. მეწისქვილე ძალიან მოშრონს; მე თითონ აღწილი ვარ დიადი გრძნობებით და მას სრულიად თანავუგრძნობ.

— კარგი, — სთქვა ჭვინტამ და ერთი ფეხიდგან მეორეზედ გადახტა. გავიდა თუ არა ზამთარი და პირველ-ყვავილამ თავისი მკრთალ-ყვითელა ვარსკვლავები გაშილა, მეწისქვილემ გამოუცხადა თავისს ცოლს, რომ პატარა განსის დასათვალიერებლად წაჟა.

— ახ, რა კეთილი გულისა ხარ — წარმოსთქვა ცოლმა, — სულ სხვებზედ ფიქრობ. არ დაივიწყო ყვავილების-თვის დიდი კალათის წალება.

მეწისქვილემ წისქვილს წყალი გადაუგდო, აიღო კალათი ხელში და გასწიო განსისკვნ.

— გამარჯობა, პატარა განსო, — შესძახა მან.

— გაგიმარჯოთ, — უპასუხა ბარზედ დაყრდნობილმა განსმა ღიმილით.

— სხვა, როგორ გაატარე ზამთარი?

— თქვენ ძალიან კეთილი ხარ, მაგას რომ მეითხავთ, — უთხრა განსმა, — ზამთარი ჩემთვის ძნელი იყო, მაგრამ ეხლა, როცა გაზაფხული დაგიმორუნდა, კვლავ ბედნიერი ვარ და ჩემი ყვავილებიც კარგად მოდიან.

— ზამთარში ხშირად გიგონებდით ხოლმე ჩვენა, ვქვირობდით, დროს როგორ ატარებ...

— თქვენ ძალიან კეთილი ხართ, -გაიმეორა გრძნების მეგონა სრულიად დაგავიწყდით გეთქი.

— განსო, მაკვირვებ, ღმერთმანი, — უთხრა მეწის-ქვილემ, — მეგობარი არასოდეს არ დაივიწყება. ეს მისი საკუთარი თვისებაა; მაგრამ მგონი შენ ვერასოდეს ვერ შეიმშვენებ ცხოვრების პოტურ მხარეებს. მართლა, რა მშვენიერია შენი პირველ-ყვავილა.

— დიალ, მართლაც მშვენიერია, — დაეთანხმა განსი, — და რა კარგია, რომ ის ასე ბევრია. წავიღებ და ბურგომისტრის ქალს მივყიდი, ხოლო იმ ფულით ახალ პატარა ურემს ვიყიდი ხელმეორედ.

— ხელმეორედ იყიდი ურემს? ვგონებ იმისი თქმა გინდა, რომ შენი ურემი გაყიდე? ნუ თუ მაგასთანა სისულელე ჩაიღინე?

— იძულებული ვიყავი გამეყიდა, რადგანაც ამ ზამთარს ძალიან გამიტირდა და ფულები სრულიად აღარა მქონდა, რომ პური მეყიდა. ჯერ ჩემი სადღესასწაულო კურლების ვერცხლის ლილები გავყიდე, მერე ჩემი ვერცხლის ძეწკვი, შემდეგ დიდი ჩიბუხი და ბოლოს ურემიც. მაგრამ ეხლა ყველა ამას ხელმეორედ ვიყადი.

— განსო, — უთხრა მეწისქვილემ, — ჩემს ხელ-ურემს მოგცემ. ის თუმცა გამართელი ვერ არის — ერთი მხარე გატეხილი აქვს და ლერძიც რაგორძაც არ უვარგა, მაგრამ მაინც მოგცემ. ვიცი, რომ ეს ძალიან დიდი სულ-გრძელებაა ჩემის მხრივ და ბევრი სულელსაც დამიძახებს, რომ იმ ურემს შენ გაძლევ, მაგრამ მე იმათ არა ვგევარ. მე ვფიქრობ, რომ სულგრძელება მეგობრობის საძირკველია. და ამასთანავე ახალი ხელ-ურემაც ვიყიდე. შეგიძლიან მშვადად იყო: ჩემს ხელ-ურემს მოგცემ.

— ღმერთმანი, ეგ ძალიან დიდსულოვანებაა თქვენის მხრით, — უთხრა პატარა განსმა და მისი მრგვალი სახე სიამონებით განათღა. — მე იმას ადვილად შევაკეთებ, სწორედ სიამისო ფიცარიცა მაქვს!

— ჲა, ფიცარი? — გაეხარდა მეწისქვილეს. — სწორედ ეხლა ჩემი საბძლის ქერისთვის ფიცარი ძალიან მვირდება. ერთი ფიცარი ცოტა დალპა, კუჭრუტანები გაუკეთოა და მოელი ხორბალი დამიტენიანდება, თუ ეხლავე არ შევაკეთო. სწორედ ღროზედ მოიგონე ეგ ფიცარი. შესანიშნავია, ჩემმა მზემ, — ერთი კეთილი საქმე მაშინვე მეორე კეთილ საქმეს იწყებს. მე ჩემს ხელის-ურემს მოგცემ, შენ კი ფიცარს მომცემ. რასაკვირველია, ხელ-ურემა ფიცარზედ გაცილებით მეტი ლირს, მაგრამ ნამდევილი მეგობრობა მაგისთანა უბრალო რამებს არ ანგარიშობს. წალი ბარებ ეხლავე გამომიტანე ფიცარი, რომ საბძლი დღესვე გავაკეთო.

— დიალაც! — და პატარა განსა გაიქცა და ფიცარი მოარბენინა.

— ე, ეს არც თუ ასე დიდია, — სთქვა მეწისქვილემ ფიცარი რომ დიინახა, — მგონი, ჩემი საბძლის ქერის შეკეთების შემდეგ შენ აღარაფერი დაგრჩეს ხელ-ურემს შეკეთებლად მაგრამ ეს, რასაკვირველია, ჩემი ბრალი არ არის. აბა, ეხლა, როცა ხელ-ურემს დაგპირდი, იმედია ყვავილებს მომცემ. აი კალათი, ვინძლო სულ გამიგსო.

გ. ნამორაძე.

(დასასრული იქნება)

